

მე-20 საუკუნის ამერიკელი სამხრეთელი მწერლის პოზიცია,

უოკერ პერსი

ნათია ზუთხუზი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა
(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი პაატა ჩხეიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

ნათია ბუთხუზი

20/06/2018

აბსტრაქტი

როდესაც ლიტერატურათმცოდნეებმა და მკვლევარებმა უოკერ პერსის შემოქმედებას მიაპყრეს ყურადღება, პირველი რაც თვალში მოხვდათ ეს იყო მისი სრულიად განსხვავებული ნარატივი, რაც გამოიხატებოდა მეცნიერების, ფილოსოფიის და თეოლოგიის უნიკალური ნაზავში. განსხვავებული სიუჟეტის განვითარებით და მანამდე არსებული შეხედულებების გადააზრებით პერსიმ შეძლო ახალი სიტყვა ეთქვა მხატვრულ ლიტერატურაში, ეუდორა ველტის მსგავსი სამხრეთელი მწერლები კვარცხლბეკიდან დაენახებინა საზოგადოებისთვის, შეჯიბრებოდა ფოლკნერს და მისი გავლენისაგან განთავისუფლებით მაგალითი მიეცა მომავალი თაობებისთვის.

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილი იქნება მე-20 საუკუნის გამოჩენილი ამერიკელი სამხრეთელი მწერლის, ნეშენალ ბუკ ევორდის ჯილდოს მფლობელის, მეცნიერის, თეოლოგის, ლინგვისტის- უოკერ პერსის პოზიცია, მისი შემოქმედება, მოღვაწეობა, რომელიც ერთგვარი მეტამორფოზა გახლავთ მეცნიერებიდან- მხატვრულ ლიტერატურამდე. ცხოვრება სამხრეთში, მისგან თავის დაღწევის მცდელობა და კვლავ უკან, მშობლიურ მხარეში დაბრუნება. მშობლიური ადგილის მთელი სიცხოველით შეგრძნება, გათვისება. დაპირისპირება კლიშეებთან, ფოლკნერის გავლენისგან გათავისუფლება, მწერლის ფილოსოფიური მოსაზრებების განხილვა დიდი ფილოსოფოსების, მეცნიერების, მოაზროვნეების გავლენა მის შემოქმედებაზე. დანიელი ფილოსოფოსის, თეოლოგის სორენ კიერკეგორის სამი ძირითადი პრინციპის ესთეტიკური, ეთიკური და რელიგიური საფეხურების ზოგადი მიმოხილვა, მათი სამეცნიერო-ლიტერატურულ კონტექსტში გააზრება და ამ ნააზრევის გავლენა პერსის შემოქმედებაზე.

ნაშრომი განხილულია ისტორიული, ჰერმენევტიკული და ასევე ახალი კრიტიკის კვლევის მეთოდების მიხედვით. თითოეული მათგანი, თვისებრივად მე-20 საუკუნის

ფილოსოფიურ და ინტელექტუალურ დისციპლინას წარმოადგენს და დღესდღეობით ფართოდ გამოიყენება ნებსმიერი ტიპის ტექსტის განხილვა-შესწავლისას. მოცემული მეთოდების მიხედვით მკვლევარები არამხოლოდ აანალიზებენ ტექსტს, არამედ ითვალისწინებენ კულტურულ რეალიებს, ტრადიციებს, ენასა და ისტორიულ გამცდილებას, რათა უკეთ შეძლონ ისტორიული, კულტურული თუ სოციალური ვითარების სწორად შეფასება და ასევე ლოგიკური დასკვნების გამოტანა. საგულისხმოა, რომ სწორედ ზემოთ აღნიშნულ მეთოდებზე დაყრდნობით, მე-20 საუკუნის შუა პერიოდიდან მოყოლებული დღემდე ამერიკის შეერთებული შტატების სასწავლო დაწესებულებებში აქტურად მიმდინარეობს ლიტერატურის გაანალიზება, განხილვა და შესწავლა.

ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია ერთის მხრივ იმით, რომ უოკერ პერსის პიროვნებას და შემოქმედებას ნაკლებად იცნობს ქართველი მკითხველი, რადგან პრაქტიკულად ქართულ ენაზე არ მოიძებნება მისი მხატვრული ნაწარმოებების თარგმანები თუ არ ჩავთვლით რამოდენიმე ესეის. მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილი იქნება უოკერ პერსი, როგორც გამოჩენილი სამხრეთელი ამერიკელი ექიმი, ფილოსოფოსი და რაც მთავარია მწერალი. ხოლო **წარმოდგენილი ნაშრომი საშუალებას მოგვცემს** ქართული რეალობიდან კიდევ უფრო ნათლად შევძლოთ მისი მოღვაწეობის არამხოლოდ დანახვა არამედ შეფასებაც. ხოლო მეორეს მხრივ, დიდ ინტერესს იწვევს თავად მწერლის პოზიცია, საგულისხმოა უოკერ პერსის პროტესტი, მე-20 საუკუნის ლიტერატურულ კლიშეებთან ღია დაპირისპირება და მათ წინააღმდეგ გალაშქრება.

ნაშრომი მოიცავს სარჩევს, აბსტრაქტს, შესავალს, ორ თავს, დასკვნას, შენიშვნებს/განმარტებებს და ბიბლიოგრაფიას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: უოკერ პერსი, სამხრეთელი ამერიკელი ლიტერატურა, მეცნიერება, ლიტერატურა, ცხოვრება სამხრეთში, ჰერმენევტიკა, ახალი კრიტიკა,

უილიამ ფილკნერი, სორენ კერკეგორი, ეგზისტენციალიზმი, ესთეტიკური, ეთიკური და რელიგიური საფეხურები.

Abstract

When literary critics and the researchers pay attention to Walker Percy's creativity, the first thing that came to their mind was the unique style of his writing, which was reflected in a unique mixture of science, philosophy and theology. With his great desire and will Percy was able to find his own place in the literature area. He was fond of introduce the Southern writers to whole world. It is newsworthy that he competed with William Faulkner and that's why Percy became an example for the future generations.

This research include the 20th-century American Southern writer, national fiction literary prize winner, scholar, theologian, linguist-Walker Percy's perspectives, his creativity, which is a kind of metamorphosis from science to literature. Percy faced with a great influence of Danish philosopher Sorean Kierkegaard. This research also include analyze of the aesthetic, ethical and religious stages, which represents the three main principles of Danish philosopher and this paper also represent Kierkegaard theory and its impact on Perry's literary work.

The scientific paper is reviewed according to the historical and hemenetic and new critic methodology, which represents the philosophical discipline of the 20th century and examines analyzes and enhances cultural traditions, language and historical traditions while discusse the text. Hermenenetc represents a fundamentally new method for the interpretation of teaching, discussing, scrutiny, review and study of literature.

Actuality of the work is due to the fact that the Georgian reader is less familiar with the personality and literary work of Walker Percy, because in the Georgian language there is no translation of the works of his writings, except for some essays. This work will feature Walker Percy as an outstanding South American doctor, philosopher, and most importantly the writer. And **the presented research will enable us** to make a more clear view of the Georgian reader

about Walker Percy, his life and his magnificent literature work. And on the other hand the writer's position which causes a great interests, it is worth noting that the protest of Walker Percy, his open confrontation with the 20th century literary clichés and the competing against them became him well known and granted great recognition around the world.

Key Words: Walker Percy, Southern American Literature, Science, Literature, Life in the South, Hermeneutics, New Criticism, William faulkner, Soren Kerkegaare, Existentialism, Aesthetic, Ethical and Religious Steps.